

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი



პროფესორი ნიკოლოზ კონტარია,
მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი
გიორგი თევდორაშვილი



ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე
თარაშვილი




ასისტენტ- პროფესორი
ნატო მეცხვარიშვილი



ასისტენტ- პროფესორი ფატმან ცაავა



ასისტენტ- პროფესორი ნინო ხოტივარი



ასისტენტ- პროფესორი ნათია ფხალაძე



ასისტენტ- პროფესორი თამარ ანთელავა

დეპარტამენტის ერთიანი სურათი



მეან-გინეკოლოგიის დეპარტამენტი სამკურნალო ფაკულტეტის “მეანობის კათედრა კლინიკით” დაარსდა 1919 წელს. კათედრის გამგეები იყვნენ პროფესორები: ივანე თიკანაძე (1919-1943), პლატონ შუშანია (1943-1954).

1920 წელს დაარსდა გინეკოლოგიური კათედრაც სახელწოდებით “ქალის სნეულებათა კათედრა კლინიკით”. მისი პირველი გამგე იყო გაბრიელ ღამბარაშვილი (1920-1954).

1954 წელს, ამ კათედრების შეერთების შემდეგ, გაერთიანებულ მეანობა- გინეკოლოგიის კათედრას 1970 წლამდე სათავეში ედგა პროფესორი პლატონ შუშანია.

1971–83 წლებში კათედრის გამგე იყო პროფესორი მიხეილ გიგინეიშვილი, 1983–94 წლებში მისი ვაჟიშვილი – პროფესორი მიხეილ მიხეილის ძე გიგინეიშვილი, 1994 წლიდან კი - პროფესორი ჯემალ მეტრეველი, 2006 წლიდან კათედრის გამგეა პროფ. ნიკოლოზ კინტრიაა.

კათედრის თანამშრომლებმა შეისწავლეს მეანობის გავრცელება საქართველოს ზოგიერთ რაიონში; გაკეთდა მომყოლისა და მშობიარობის შემდგომ ადრეულ პერიოდში საშვილოსნოს ჰიპო- და ატონიური სისხლდენებით გამოწვეული დედათა სიკვდილობის ანალიზი საქართველოში; ამასთანავე, მიმდინარეობდა კვლევა მაღალი რისკის ორსულებში ამ სისხლდენების პროგნოზირების მიმართულებით და დაისახა დედის სიკვდილიანობის შემცირების გზები; შესრულდა მშობიარობის შემდგომი სეფსისური დაავადებებით გამოწვეული დედის სიკვდილობის ანალიზი ქ.თბილისში ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით. კათედრა მუშაობს საკეისრო კვეთის შედეგად განვითარებული სეპტიკური გართულებების პრობლემაზე, სიმსივნის საწინააღმდეგო დაცვის იმუნურ საფუძვლებზე საკვერცხის სიმსივნის მავარი წარმონაქმნის დროს.

2006 წელს თსსუ-ში გაერთიანდა სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე და სამედიცინო აკადემიაში არსებული მეანობა-გინეკოლოგიის კათედრები, შეიქმნა მეანობა-გინეკოლოგიის ერთი დეპარტამენტი, რომელიც შედგებოდა 2 მიმართულებისაგან. 2009

წლიდან მეანობა–გინეკოლოგიის დეპარტამენტს გამოეყო რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეპარტამენტი.

სასწავლო პროგრამები. მეანობა–გინეკოლოგიის დეპარტამენტში მიმდინარეობს სწავლება როგორც დიპლომამდელი, ისე დიპლომის შემდგომი განათლების (რეზიდენტურა, დოქტორანტურა) ჩარჩოში. რეზიდენტურის პროგრამა მეანობა- გინეკოლოგიაში 4 წლიანია. მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში ამჟამად სამეცნიერო კვლევითი მუშაობა, რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს: “ოქსიდაციური და იმუნური ფაქტორების როლი პრეეკლამფსიის პათოგენეზში” , სტრესი და ორსულობა. ორსულობის დროს ჩატარებული არასამენო ოპერაციების ზეგავლენა ნაყოფის მდგომარეობაზე ლაპაროსკოპიული მიდგომა გინეკოლოგიური ოპერაციების წარმოებისათვის ჭარბი წონის მქონე ქალებში. მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო დონორების USAID, UNICEF და JSI-ის მიერ საქართველოში განხორციელებულ პროგრამებში, როგორებიცაა “ეფექტური პერინატალური მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში”, “ოჯახის დაგეგმარების თანამედროვე მეთოდები” 2008 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებთან ერთად, USAID, UNICEF და JSI-ის დაფინანსებით, მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტმა შეიმუშავა სასწავლო მეთოდური სახელმძღვანელო მეანობაში IV-VI კურსის სტუდენტებისა და პროფესორ–მასწავლებლებისთვის. მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის პედაგოგიური პერსონალი: პროფესორი ნიკოლოზ კინტრია – დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ასოცირებული პროფესორები - ალექსანდრე თარაშვილი, გიორგი თევდორაშვილი; ასისტენტ– პროფესორები - ნატო მეცხვარიშვილი, ნინო ხოტივარი, თამარ ანთელავა, ფატმან ცაავა, ნათია ფხალაძე.

მოწვეული პედაგოგები: კლინიკის პროფესორი პლატონ მაჭავარიანი, აკაკი ბაქრაძე, კონსტანტინე ხარაბაძე, ლალი ბარბაქაძე, დავით თევდორაშვილი, მანანა ქორიძე, სოფო კამლაძე, ეკა შველაშვილი, მარინა ჯანგიძე.